

AN UNKNOWN MANUSCRIPT OF THE FIRST GEORGIAN TRANSLATOR OF HANS
CHRISTIAN ANDERSEN'S FAIRY TALES

ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრების პირველი ქართველი მთარგმნელის უცნობი
ხელნაწერი

Elene Gogiashvili

Doctor of Philology,

Associate professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179, Georgia,

+995599390516, elene.gogiashvili@tsu.ge,

<https://orcid.org/0000-0002-3695-7360>

Abstract. In the late 19th century, in Georgian periodicals and journals for children were printed Hans Christian Andersen's fairytales translated from German and Russian. This paper deals with unknown Georgian translations in the 1870ies. The manuscripts were found among folklore materials in the Folklore Archive at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. An overview of sources and philological research reveals the consecutive order of Georgian translations of Andersen's fairy tales. The unknown Georgian manuscript discussed in this paper was created earlier than the published translations of Andersen's fairy tales. The unpublished manuscript belongs to the folklore collection of the Society for the Spreading of Literacy among Georgians. The critical analysis of the sources reveals the translator's name and biographical notes. At the beginning of the history of Georgian translations of Andersen's fairy tales stays Levan Cherkezishvili, one of the public figures of the 19th century.

"The Snow Queen" and "The Nightingale" are the most highly acclaimed fairy tales of Hans Christian Andersen. They are regularly included in selected fairy tales of his work and frequently reprinted in illustrated storybook editions for children. The unknown Georgian text includes translations of these fairy tales. The translations of fairy tales surpass literary circles to enrich other cultural representations and require study from the interdisciplinary perspective of philology, history and cultural anthropology.

Keywords: Fairy Tale, The Snow Queen, The Nightingale, Children's Literature, Folklore Archive.

ელენე გოგიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, საქართველო,

+995599390516, elene.gogiashvili@tsu.ge,

<https://orcid.org/0000-0002-3695-7360>

აბსტრაქტი. XIX საუკუნის ბოლოს ქართულ პერიოდიკასა და საყმაწვილო ჟურნალებში იბეჭდებოდა ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრები, თარგმნილი გერმანული და რუსული ენებიდან. სტატია ეხება ანდერსენის ზღაპრების ქართულ თარგმანებს XIX საუკუნის 70-იან წლებში, რომელთა ხელნაწერი მიკვლეულ იქნა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. გამოუქვეყნებელი ხელნაწერი ეკუთვნის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ კოლექციას. წყაროთვრიტიკული ანალიზის შედეგად ირკვევა მთარგმნელის ვინაობა და ბიოგრაფიული ცნობები. ჰანს ქრისტიან ანდერსენის პირველი ქართველი მთარგმნელი ლევან ჩერქეზიშვილია, XIX საუკუნის ერთ-ერთი საზოგადო

მოდვაწე, ქართული ზეპირსიტყვიერების შემკრები და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი.

„თოვლის დედოფალი“ და „ბულბული“ ანდერსენის ის ზღაპრებია, რომლებიც შედევრებად არის აღიარებული, ყოველთვის ჩართულია რჩეულ კრებულებში და ყველაზე ხშირად იბეჭდება ილუსტრირებული სახით. უცნობი ხელნაწერი სწორედ ამ ორ ზღაპარს შეიცავს. ზღაპრის თარგმნის ხელოვნება ლიტერატურული ინტერესების საზღვრებს სცდება და როგორც კულტურის ერთგვარი რეპრეზენტაცია, ერთ-ერთი იმ ინტერდისციპლინურ საკითხთაგანია, რომელიც ფილოლოგიური, ისტორიული და კულტურული ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან შესწავლას ითხოვს.

საკვანძო სიტყვები: ზღაპარი, თოვლის დედოფალი, ბულბული, საბავშვო ლიტერატურა, ფოლკლორული არქივი.

შესავალი. თუ გადავთვალთ ქართულ საბავშვო-საყმაწვილო პერიოდულ გამოცემებს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ქართველ მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებსაც მრავლად აღმოვაჩინთ, თარგმნის გერმანული, ფრანგული, ინგლისური და რუსული ენებიდან: მსოფლიოს ხალხთა თქმულებებსა და ლეგენდებს, მოთხრობებს „ათას ერთი ღამიდან“, ძმები გრიმებისა და, რა თქმა უნდა, ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრებსაც. ამ თარგმანებისადმი ინტერესი მხოლოდ ფილოლოგიური და ტრანსფერულ პროცესებზე დაკვირვებით არ შემოიფარგლება, მათი შესწავლა ნათელს ჰფენს ბევრ საინტერესო დეტალს ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან.

მეთოდები. ნათარგმნ და ნაციონალურ ლიტერატურათა ურთიერთმიმართების კვლევა ზოგადად საერთო მეთოდოლოგიას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც ყოველი ტექსტი სოციოკულტურული გარემოს ნაწილია. კულტურა, ენა, ლიტერატურა, საზოგადოება მოაზრებულია, როგორც სისტემა და არა ცალკეულ ელემენტთა მექანიკური კონგლომერატი. კომუნიკაციის ფორმების სისტემად გააზრება შესაძლებლობას გვაძლევს აღვწეროთ და ავხსნათ, თუ როგორ ზემოქმედებენ კულტურის სხვადასხვა კომპონენტები. „პოლისისტემა“ არა მარტო ტერმინოლოგიური შეთანხმებაა, არამედ შორსგამიზნული კვლევა, რომელიც კონცენტრირებულია თარგმანის სოციოკულტურულ მნიშვნელობასა და პოზიციაზე განსხვავებულ კულტურულ გარემოში (Even-Zohar, 1979: 288-289). წინამდებარე ნაშრომი ეხება ანდერსენის ზღაპრების ადრეულ ქართულ თარგმანებს და პირველი ქართველი მთარგმნელის იდენტიფიკაციის საკითხს. პოლისისტემის თეორიასთან ერთად, ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველია წყაროთა კრიტიკული ანალიზი, რის შედეგადაც გაირკვა ჰანს ქრისტიან ანდერსენის თხზულებათა ქართული თარგმანების ქრონოლოგია და პირველი მთარგმნელის ვინაობა: ლევან ჩერქეზიშვილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

შედეგები. ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრების ქართული თარგმანების ლევან ჩერქეზიშვილისეული ხელნაწერი დაცულია პეტრე უმიკაშვილის ფოლკლორულ კოლექციაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში. ლევან ჩერქეზიშვილის მიერ თარგმნილი ანდერსენის მოთხრობები „ბულბული“ და „თოვლის დედოფალი“ ინახება ქართული ზეპირსიტყვიერების მასალის გვერდით, რიგითი ნომრით fauf 0045 (ID24008, ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა). ეს ტექსტები არასოდეს გამხდარა ფოლკლორისტთა ყურადღების საგანი - არც არის გასაკვირი - ორივე ლიტერატურული ნაწარმოებია და არა ხალხური სიტყვიერების ნიმუში. ეს

ტექსტები უცნობია ლიტერატურათმცოდნეთათვის და მთარგმნელთათვის. ორივე თარგმანი წინ უსწრებს ანდერსენის ზღაპრების აქამდე ცნობილ ყველა ქართულ თარგმანს.

მსჯელობა. საქართველოში ანდერსენის მრავალრიცხოვან მთარგმნელთა შორის არიან მწერლებიც, საზოგადო მოღვაწეებიც, მეცნიერებიც და პროფესიონალი მთარგმნელებიც. XIX საუკუნის ბოლოს უკვე გამოვიდა ნინო ნაკაშიძის მიერ თარგმნილი ორტომეული (ანდერსენი, 1896) და მას შემდეგ არ განელებულა ქართულ გამომცემლობათა ინტერესი ანდერსენის ზღაპრებისადმი. მიუხედავად ანდერსენის პოპულარობისა და გამოცემათა მრავალფეროვნებისა საქართველოში, მისი ზღაპრების სრული კრებული უშუალოდ დანიური ენიდან რამდენიმე წლის წინ ითარგმნა (ანდერსენი, 2015). მანამდე თარგმანები მეორე და მესამე ენიდან სრულდებოდა: დანიურიდან გერმანულად თარგმნილი ან დანიურიდან გერმანულად და შემდეგ რუსულად თარგმნილი კრებულებიდან.

უცნობი ხელნაწერის გაცნობამდე თვალი გადავაავლოთ ანდერსენის ზღაპრების ქართულ თარგმანებს XIX საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე.

ჰანს ქრისტიან ანდერსენი (1805-1875) ერთ-ერთი იმ გამორჩეულ ავტორთაგანია, რომლის ნაწარმოებებსაც ყველაზე ხშირად თარგმნიან. მწერლის სიცოცხლეშივე მკითხველთა ყველა თაობისთვის მიმზიდველი გახდა მისი ზღაპრების უნიკალური სტილი და შინაარსი. ანდერსენის ზღაპრების პირველი თარგმანები ევროპაში მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან გამოჩნდა, მაშინვე, რაც მან თავისი პირველი საბავშვო ზღაპრების კრებული გამოაქვეყნა 1835 წელს კოპენჰაგენში (Andersen, 1835).

ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრებს XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან აქვეყნებენ ქართული საბავშვო და საყმაწვილო ჟურნალები „წყარო“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“. თარგმანთა უმეტესობა შესრულებულია მეორე ენიდან და არ არის დაზუსტებული პირველწყარო, თუ რომელი კრებულიდან თარგმნეს. მთარგმნელთა ფსევდონიმების იდენტიფიკაცია შესაძლებელია, თუმცა ზოგჯერ სადაო შეიძლება იყოს მათი ვინაობა. უმეტეს შემთხვევაში ანდერსენის ზღაპრების მთარგმნელები ცნობილი საზოგადო მოღვაწეები არიან: ეკატერინე მესხი, გრიგოლ ვოლსკი, ალექსანდრე მიქაბერიძე, დავით ნახუცრიშვილი, ნინო ნაკაშიძე, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი, თედო სახოკია და სხვები.

„ნობათის“ 1884 წლის მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრებში გამოქვეყნებულია ანდერსენის ორი ზღაპარი - გრიგოლ ვოლსკის მიერ თარგმნილი „ლოკოკინა და ვარდის ბუჩქი“ და ეკატერინე მესხის მიერ გადმოქართულებული „დიდი და პატარა გიორგი“, რომლის ორიგინალური სათაურია „დიდი და პატარა კლაუსი“ (Lille Claus og store Claus). სახელთა შეცვლა სოციალურ-კულტურული გარემოს შესაბამისად იმდროინდელი თარგმანებისთვის დამახასიათებელი შტრიხია. მაგალითად, 1867 წლის რუსულ გამოცემაში მთარგმნელებმა ნადეჟდა სტასოვამ და მარია ტრუბნიკოვამ პერსონაჟის სახელი თარგმნეს, როგორც „ნიკოლკა“ (Андерсен, 1867: 67). „დიდი და პატარა კლაუსი“ ანდერსენმა თავისი შემოქმედების პირველ ეტაპზე დაწერა, როცა ჯერ კიდევ დანიურ ხალხურ მოტივებს ლიტერატურულად ამუშავებდა. ფაქტობრივად, ამ ზღაპრით ქართველი მკითხველი სკანდინავიურ ფოლკლორსაც გაეცნო.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ანდერსენის ზღაპრებს აქვეყნებენ საყმაწვილო ჟურნალები „ჯეჯილი“ და „ნაკადული“. 1901 წელს „ჯეჯილი“ ბეჭდავს „მთვარის მოგზაურობას“, რომელიც გერმანულიდან თარგმნა ალექსანდრე მიქაბერიძემ ფსევდონიმით „ყუმისთაველი“. ამავე ჟურნალის 1906 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია ზღაპარი „ნამვი“, თარგმნილი ალ. მჭედლიშვილის მიერ. მესამე ნომერში ივანე ახალშენიშვილი თარგმნის ზღაპარს „უმშვენიერესი ვარდი ქვეყნისა“. მისივე თარგმნილია „არის თუ არა განსხვავება!“ „ნაკადულის“ მეოთხე ნომერში. „ნაკადულის“

მომდევნო ნომრებში, N6 და N8, დავით ნახუცრიშვილის მიერ თარგმნილი „მეფის ახალი სამკაული“ და „ნამდვილი მთავრის ქალი“ გამოქვეყნდა. 1910 წელს „ნაკადულში“ კორდელის (სოსო გოგოლაშვილის) მიერ თარგმნილი „მწყემსი ქალი და ბუხრის მწმენდელი“ დაიბეჭდა.

1906 წელს ანდერსენის ზღაპრები განსაკუთრებული ინტენსივობით იბეჭდებოდა საქართველოში. 1905 წელს ანდერსენის დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან 30 წლისთავი შესრულდა და, როგორც ვხედავთ, ქართული ჟურნალები ამას სათანადოდ გამოეხმაურნენ. „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ მხოლოდ ზღაპრები კი არა, ანდერსენის შესახებ სამეცნიერო-პოპულარული წერილებიც მომზადდა. „ნაკადულში“ 1905 წლის მე-12 ნომერში დაიბეჭდა „ანდერსენი“, ბიოგრაფიული ცნობები მწერალზე (ავტორი „დია ვალიკო“). „ჯეჯილის“ რედაქტორმა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა 1906 წლის მეორე და მესამე ნომრები მიუძღვნა მწერლის ბიოგრაფიას სახელწოდებით „სახელგანთქმული პოეტი-მეზღაპრე ანდერსენი“.

გარდა პერიოდიკისა, ანდერსენის ზღაპრები ბროშურების და წიგნების სახითაც გამოდიოდა. ანდერსენის ზღაპრების პირველი კრებულის გამოცემა დაკავშირებულია ბათუმის კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიასთან, რომელმაც ნინო ნაკაშიძის თარგმნილი ზღაპრები ორ ტომად გამოსცა 1896 წელს. 1897 წელს თბილისში გრ. ტატიშვილის გამომცემლობამ გამოსცა თედო სახოკიას მიერ თარგმნილი „გედები“ ხუთი ილუსტრაციით. 1900 წელს საჩინო თურქიას გამომცემლობამ თ. სახოკიასვე თარგმნილი „დედა“ დაბეჭდა. 1920 წელს ილია ნაკაშიძის მიერ თარგმნილი ზღაპრები გამოსცა „ნორჩი საქართველოს“ გამომცემლობამ.

ქართული საბავშვო ჟურნალებისა და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემა და უმცროსი ასაკის მკითხველისთვის გემოვნებიანი საკითხავის მიწოდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი პრიორიტეტული საქმიანობა იყო. ანდერსენის ზღაპრების ქართულ თარგმანთა უმრავლესობა სწორედ ამ საზოგადოების წევრებს ეკუთვნის. აი, აქ ჩნდება კიდევ ერთი მთარგმნელი და, როგორც ჩანს, ქრონოლოგიურად პირველი - ლევან ჩერქეზიშვილი. მისი სახელი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებას უკავშირდება.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის მნიშვნელოვან ნაწილს პეტრე უმიკაშვილის (1838-1904) კოლექცია შეადგენს. პეტრე უმიკაშვილი 1863 წლიდან კრებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იგი 25 წელზე მეტ ხანს მასწავლებლად მუშაობდა, უამრავი კოლეგა და მოწაფე ჰყავდა, რომელთა დახმარებით მისი კოლექცია მვირფასი ზეპირსიტყვიერი მასალით შეივსო. 1871 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილიდან ნათლად ჩანს პეტრე უმიკაშვილისა და ახალგაზრდა მასწავლებლების აქტიური მუშაობა: „აგერ რამდენიმე წელიწადია ვაგროვებ სახალხო ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზებს და სხვას. რამდენჯერმე დავაპირე დაბეჭდვა, მაგრამ კიდევ დამატება, შევსება ვამჯობინე და არცა ვნანობ, რამდენიმე ყმაწვილმა მასწავლებლებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩემს შრომაში და მესამედზე მეტი იმათ ეკუთვნით“ (ჩიქოვანი, 1960: 164).

პეტრე უმიკაშვილის თანამშრომელ-შემკრებთაგან ბევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. უმიკაშვილის საარქივო მასალებში დაცულია ცალკე რვეულები, რომლებსაც ლევან ჩერქეზიშვილის სახელი და გვარი აწერია. მის მიერ მოპოვებული ლექსები და გამოცანები ჩაწერილია კახეთის სოფლებში - თოხლიაურში, ჩაილურსა და მანავში. ქართველი ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანი საგანგებოდ აღნიშნავდა კახური ზეპირსიტყვიერების შემკრებთა შორის რამდენიმე ცნობილ პიროვნებას: „კახური ზეპირსიტყვიერების ჩაწერა-შეკრების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით: თედო რაზიკაშვილს, პ. უმიკაშვილს, ზ.გ. ბილანიშვილს, ვაქირელ

ქალს (ანა კარგარეთელს), ნ. ანდრონიკაშვილს, ა.ნ. ფერაძეს, **ლ. ჩერქეზიშვილს** [ხაზგასმა ჩემია - ე.გ.], ი. სიდამონ-ერისთავს, ალ. ჯანდიერს...“ (ჩიქოვანი, 1949: 328).

ლევან ჩერქეზიშვილის შემკრებლობითი მუშაობის შესახებ სხვა ცნობები არ მოიპოვება გარდა მისი ხელნაწერებისა პეტრე უმიკაშვილის არქივში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საძიებელში ლევან ლევანის ძე ჩერქეზიშვილი აღნუსხულია, მაგრამ მის შესახებ მწირი ცნობები გვაქვს. არ არის დაზუსტებული მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი. არსებობს რამდენიმე ფოტოც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზაში: 1880-იან წლებში პეტერბურგში გადაღებული ე.წ. „ხალხოსანთა ჯგუფის“ ფოტოები, რომელთა ვერსოზე ლევან ჩერქეზიშვილი არის მითითებული, აგრეთვე 1911 წლის ცნობილი ფოტო „ქართველ თავად-აზნაურთა და მწერალთა შეხვედრა ოლივერ უორდროპთან“. ამ ფოტოებზე იდენტიფიცირებული ლევან ჩერქეზიშვილი სწორედ ზეპირსიტყვიერების შემკრები ლევან ჩერქეზიშვილი უნდა იყოს, რომელსაც ანდერსენის ზღაპრების პირველი თარგმანი ეკუთვნის.

უმიკაშვილის არქივში ლევან ჩერქეზიშვილის მიერ შეკრებილია ქართული ზეპირსიტყვიერების მდიდარი მასალა. მისი რვეულები გარდა ფოლკლორული ტექსტებისა, ორ სხვა ტექსტსაც იხაზავს. ესენია ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრების, „ბულბულისა“ და „თოვლის დედოფლის“, ქართული თარგმანები.

1871 წლის 13 თებერვალს ლევან ჩერქეზიშვილმა „ბულბული“ დაასრულა და „თოვლის დედოფალი“ დაიწყო, სავარაუდოდ, ისიც იმავე წელს დაამთავრა. „ბულბული“ თვრამეტ ხელნაწერ გვერდს მოიცავს, „თოვლის დედოფალი“ – ორმოცდაათს. ხელნაწერებში ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელი არსად არის მითითებული. ტექსტი ბევრ ადგილას შესწორებულია. თარგმანები დასრულებული კი არის, მაგრამ ჩანს, რომ მთარგმნელს არ დაუმთავრებია მათზე მუშაობა და შემდგომ რედაქტირებას კვლავ აგრძელებდა. განსაკუთრებით ეს ითქმის „თოვლის დედოფალზე“ - ეს ხელნაწერი შავ პირს წარმოადგენს და არა საბოლოო ვარიანტს. პირვანდელი სათაურია „თოვლის ხელმწიფა“, რომელიც გადახაზულია და აწერია „თოვლის დედოფალი (ზღაპარი შვიდ მოთხრობაში)“.

„ბულბულზე“ დაზუსტებით ძნელია თქმა, რომელი ენიდან არის თარგმნილი. შეიძლება გერმანულიდან, შეიძლება - რუსულიდან. „თოვლის დედოფალში“ კი რუსიზმები მრავლად გვხვდება: „კუჩერი“, „კარტინკიანი წიგნი“, „ლაპლანდკა“, „ფინკა“, „პერჩატკები“, „განმრავლების ტაბლიცა“ და მისთ. საფიქრებელია, რომ მთარგმნელს ხელთ ჰქონდა 1867 წელს პეტერბურგში გამოცემული ზღაპრების კრებული, გერმანულიდან რუსულად თარგმნილი მარია ტრუბნიკოვასა და ნადეჟდა სტასოვას მიერ (Андерсен, 1867).

„თოვლის დედოფალში“ პერსონაჟის სახელი **კაი** ქართულად გადმოტანილია როგორც „კეი“, რაც არ ემთხვევა რუსულს. მიუხედავად ამისა, თარგმანის ტექსტოლოგიური შესწავლის გარეშე თავს შევიკავებთ დასკვნისგან, თუ რომელმა გამოცემამ შეასრულა დედნის როლი - რუსულმა თუ გერმანულმა. დანამდვილებით რაც შეგვიძლია ვთქვათ, ის არის, რომ ლევან ჩერქეზიშვილის მიერ თარგმნილ ტექსტებში საგრძნობია აღმოსავლურ ქართული დიალექტი: „მშვიდობით, მშვიდობით!“ უყვიროდნენ იმას ცოლ-ქმარნი სეფეწულები, გერდაცა ტიროდა და ყვავიცა. სამი ვერსი როცა გაიარეს, ყვავიც გამოეთხოვა პატარა ქალსა, და ეს განშორება ძალიან სამწუხარო იყო, ძალიან ორივესთვისა. ყვავი ხეზედ აფრინდა და ფრთებს იქნევდა იმ დრომდე, მანამ, მზესავით ბრწყინვალე ეტლი თვალიდან არ დეეკარგა.“ („თოვლის დედოფალი“).

დასკვნა. ზოგადად, ჰანს ქრისტიან ანდერსენი მიჩნეულია ისეთ ავტორად, ადვილად რომ ვერ ითარგმნება. ანდერსენის თხრობის მანერა ეპოქისთვის ახალი იყო, ისეთი, რომელსაც მანამდე დანიური ლიტერატურა არ იცნობდა. „თოვლის დედოფლის“ შესავალი მთარგმნელთა წრეში ერთ-ერთ ურთულეს ტექსტად ითვლება (Frank & Frank, 2006: 163). ლევან ჩერქეზიშვილის ენა მკაფიო და სადაა, უფრო ახლოს დგას ხალხურ

მეტყველებასთან, ვიდრე სალიტერატურო ენასთან. ანდერსენის თხრობის სტილის მთელი სირთულეც ეს იყო თავის დროზე: ის წერდა ყოველდღიურობის ენით, ხალასი ხალხური უბრალოებით. ლევან ჩერქეზიშვილის თარგმანის სტილიც უშუალო და სადაა: „- ჩემო ძვირფასო პატარა ბუღბულო, - თქვა კამერდერმა: - მე მაქვს დიდი სიამოვნება დაგპატიჟოთ თქვენ დღეს საღამოზედ სასახლის დღესასწაულში, სადაც თქვენ გააოცებთ თქვენის ხმით მის იმპერატორის უდიდესობას. - მე მიყვარს მღერა გაშლილს ჰაერზედ, თქვა ბუღბულმა, მაგრამ მაინც დიდის სიამოვნებით მივიღე თქვენი დაპატიჟება, როდესაც გავიგე, რომ ხელმწიფესა ჰსურს ესა.“ („ბუღბული“).

ხელნაწერთა შემდგომი ტექსტოლოგიური ანალიზის, ფილოლოგიური და სოციოკულტურული ასპექტების შესწავლის შემდეგ ლევან ჩერქეზიშვილის თარგმანზე გაცილებით მეტი იქნება სათქმელი. მისი თარგმანები ქართული ლიტერატურისა და თარგმანის ისტორიის მნიშვნელოვან ფურცელს წარმოადგენს. მასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხები ფილოლოგების, ისტორიკოსებისა და კულტურის ანთროპოლოგების მხრიდან სათანადო ყურადღებას იმსახურებს. თავად ის ფაქტი, რომ ცნობილი მეზღაპრის ჰანს ქრისტიან ანდერსენის ქართული თარგმანების ისტორიის დასაწყისი ქართული ფოლკლორის საარქივო მასალებში აღმოჩნდა მიმალული, საგულისხმოც არის და სიმბოლურიც: XIX საუკუნის ლიტერატურული ზღაპრის შთაგონების წყარო ხომ პირველ რიგში ხალხური თხრობის ტრადიციიდან მომდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ანდერსენი, ჰ. კ. (1896). *ანდერსენის ზღაპრები*. I, II. თარგმანი ნინო ნაკაშიძისა. ბათომი.
- ანდერსენი, ჰ. კ. (2015). *ანდერსენის ზღაპრები*. თარგმანა ნათია მერებაშვილმა. ტომი I, II. თბილისი. Merebashvilitykesson publishing.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი (ქმწკგ) საზოგადოების წევრთა საბიურო*. <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/> (15.02.2023).
- შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი*. ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა <http://www.folktreasury.ge/> (15.02.2023).
- ჩიქოვანი, მ. (1949). ქართული ხალხური სიტყვიერება (კახური მასალები). *ლიტერატურული ძიებანი*. V, გვ. 325-347.
- ჩიქოვანი, მ. (1960). პ. უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების შემკრები. *ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება*. I. თბილისი, გვ. 163-167.
- Andersen, H. Ch. (1835). *Eventyr, fortalt for Børn. Første Samling*. København.
- Even-Zohar, I. (1979). Polysystem Theory. *Poetics Today. Special Issue: Literature, Interpretation, Communication*. Vol. 1, No. 1/2, pp. 287-310.
- Frank, D. & Frank, J. (2006). On translating H. C. Andersen. *Marvels & Tales*. Vol. 20, N2, pp. 155-165.
- Андерсен, Х.К. (1867). *Полное собрание сказок Андерсена*. Петербург: Трубникова и Стасова.

REFERENCES:

- anderseni, h. k. (1896). *andersenis zghap'rebi [Andersen's Fairy Tales]*. I, II. Translated by Nino Nakashidze. Batomi.
- anderseni, h. k. (2015). *andersenis zghap'rebi [Andersen's Fairy Tales]*. Translated from Danish by Natia Merebashvili. I, II. Tbilisi. Merebashvilitykesson publishing.

- sakartvelos p'arlamet'is erovnuli bibliotek'a* [National Parliamentary Library of Georgia]. kartvelta shoris ts'era-k'itkhvis gamavrtselebeli (kshts'k'g) sazogadoebis ts'evrta sadziebeli [Index of Members of Society for the Spreading of Literacy among Georgians]. <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/> (15.02.2023).
- shota rustavelis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'is polk'loris arkivi* [Folklore Archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature]. kartuli polk'loris monatsemta baza [Database of Georgian Folklore] <http://www.folktreasury.ge/> (15.02.2023).
- chikovani, m. (1949). kartuli khalkhuri sit'qviereba (k'akhuri masalebi) [Georgian folklore (materials from K'akheti)]. *lit'erat'uruli dziebani* [Literary issues]. V, pp. 325-347.
- chikovani, m. (1960). p'. umik'ashvili khalkhuri sit'qvierebis shemk'rebi [P. Umikashvili, collector of Georgian folklore]. *kartuli khalkhuri p'oet'uri shemokmedeba* [Georgian Folklore Genres]. I. Tbilisi, pp. 163-167.
- Andersen, H. Ch. (1835). *Eventyr, fortalt for Børn. Første Samling*. København.
- Even-Zohar, I. (1979). Polysystem Theory. *Poetics Today. Special Issue: Literature, Interpretation, Communication*. Vol. 1, No. 1/2, p. 287-310.
- Frank, D. & Frank, J. (2006). On translating H. C. Andersen. *Marvels & Tales*. Vol. 20, N2, pp. 155-165.
- Andersen, H. K. (1867). *Polnoe sobranie skazok Andersena* [Complete fairy-tale collection of Andersen]. Petersburg: Trubnikova and Stasova.